ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3235318

ნომერი: AR1493586

თარიღი : 06.04.2017

გაცემის თარიღი : 02.05.2017

გაცნობის თარიღი : 02.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ი. ჯავახიშვილი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ქიმუცაძე პ/ნ 53001007804
- ლაილაშის 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 06

აპრილის №AR1493586 განცხადებით მომართა დავით ქიმუცაძემ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებაში, კერძოდ: "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით" შეიცვალა. ,,ნებართვა ძალაშია 2018 წლის 28 ივნისის ჩათვლით''. დამკვეთად დაფიქსირდა კახაბერ დეკანოიძე.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს "ბაგი ჯეორჯიას" დაფიქსირებას.
მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.16.05.029.012) მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: № 882017266098, მომზადების თარიღი: 2017 წლის 04 აპრილი, 13:15:17) თანახმად, წარმოადგენს შპს "ბაგი ჯეორჯია" (ს/კ:402044300).
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთის, რომელზეც სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 28 ივნისის ჩათვლით, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ბაგი ჯეორჯია" (ს/კ:402044300) და მის მიერ უფლებამოსილი პირი დავით ქიმუცაძე სამსახურს მომართავს ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირების მოთხოვნით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ბაგი ჯეორჯია"(ს/კ:402044300).

2. სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.